աթուա առունս առունս ալյյէսան գունուս ցունս սահու սացրո մտացրունուս
նատլաւ սիսան, տց համցենա շալցացուու ամուսունա սամյ շի սացրո մտացրունուս
սահցա. ցրու ալուս մմցերաթուրմա սցըրու: ու սացան, հռմելուն պացըլուն
մմհեցու, մյուրա լրմա և մուշպացըլուն: մաց սացնու Շյերուցի կապա ցուուս

²⁸⁾ Павловч — Объ участі мірян..., стр. 521.

²⁹⁾ Ibid. стр. 521—522.

³⁰⁾ Ibid. стр. 520 Ցյան. 518—522.

სიუზრთხილით უნდა ილაპარაკოს; მეორე ალაგის კი ამბობს: ეს საგანი იბ-დენათ უბრალოა, რომ ამის გულისათვის უქმაყოფილება და გახეთქილება არა ღირსო. *) ცხადია, იმპერატორი ლაპარაკობს. როგორც გონიირი მმართველი სახელმწიფოსი, რომლის ინტერესსაც შეადგენს, თავის სამფლობელოში მუდამ გარეგნულ თანხმობასა და მშვიდობიანობას ჰქედავდეს! მაგრამ, ყოველ ეჭვს გარეშეა, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმის შესახებ, თუ რა საპატიო ალაგიც უკავია დოლმატიურ საკითხებს ქრისტიანობრივს სარწმუნოებაში. — როცა პირველმა ცდამ იმპერატორს უმნიშვნელოდ ჩაუარა, გადასწყვიტა აღნიშნული საქმე საეკლესიო კრებით გაეთავებია. ასე შემზადდა პირველი მსოფლიო კრება 325 წელს მცირე აზიის ერთ-ერთ ქალაქს, ნიკეაში. კრებას დაესწრო თვითონ იმპერატორი, რომელმაც თხოვნითა და შთაგონებით მიმართა კრების მამებს, რათა საქმე სიამტკბილობით და თანხმობით გაეთავებიათ. საზოგადოთ კრებაზე იმპერატორის გავლენა წმიდა ზნეობრივი იყო: მას ძალა არავისთვის დაუტანებია. რაც შეეხება კერძოთ დისციპლიანარულ საკითხებს, იმპერატორმა პირდაპირ აღიარა, რომ ასეთი საქმეები მე არ შემეხება და არც მეუფლებაო: „მე—კაცს არ ძალიძის ისეთი საქმეები ვიტვირთო და მოვისმინო, სადაც მომჩივანი და დამნაშავე მღვდლები არიანო“—სოქვა იმპერატორმა. ⁸¹⁾

აი წმინდა ქრისტიანული პრინციპი ეკლესიის თავისუფლებისა. სამწუხაროთ, იმპერატორები დიდხანს ვერ შერჩებ ამ დიდებულს პრინციპს.

მეორე მსოფლიო კრება. ეს კრება მოიწვია თეოდოსი I-ელმა 381 წელს ქალ. კონსტანტინოპოლიში, რომელიც მხოლოდ პირველი მსოფლიო კრების შემდეგ იქნა გამოცხადებული ბიზანტიის იმპერიის სატახტო ქალაქად. ამ კრებაზე დაიწერა სხვათაშორის მეორე ნაწილი სიმბოლო-სარწმუნოებისა; აქვე შეაღვინეს კანონი, რომლის ძალითაც კონსტანტინოპოლის მღვდლელ მთავარი დარწებით გაუთანასწორდა რომის მღვდლელ-მთავარს, მის შემდეგ მეორე ადგილი დაიჭირა; ამ დადგენილების მოტივად კრების მამანი ასახელებენ იმ გარემოებას, რომ „კონსტანტინოპოლი ახალი რომი არისო.“⁸²⁾ როგორც ვხედავთ, აქ პირველით წამოაყენეს პოლიტიკური მოტივი საეკლესიო კანონმდებლობის საფუძვლად: სახელმობრ საეკლესიო წყობილება და-მოკიდებული გახადეს სახელმწიფოებრივს წყობილებაზე. რა თქმა უნდა, ეს დადგენილება უმთავრესათ იმ გარემოებით უნდა აისწნას, რომ იმპერატორი ძლიერ ახლო იდგა კრებასთან და მის მამებზე დიდს გავლენას ახდენდა. იმ-

*) კითხვა შეეხებოდა იმას, სამების მეორე პირი ხე არის დვოთასა, თუ ქმნილებაო.

⁸¹⁾ Куртианос—Отношенија..., стр. 81.—ამ კრებამ შეაჩვენა არიოზი, შეადგინა სიმბოლო სარწმუნოების პირველი ნახევარი და 20 საეკლესიო კანონი დასწერა. არც ერთს ამ საქმეში საერთ მთავრობას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

⁸²⁾ Прав. св. всел. соборовъ съ толкованіяхъ. ч. I.

ჰერატორის გაფლენა კიდევ უფრო ძლიერათ გამოიხატა მის ერთ-ერთ განკარგულებაში, რომლის ძალითაც მართლმადიდებლებმა ნება მიიღეს მწვალებლებისათვის მოსვენება არ მიეცათ, სარწმუნოებრივ კრებათა შედგენა მოეშალათ და სხვა. ამგვარივე უფლება მისცა იმპერიატორმა საერთო მთავრობის მოხელეებსაც.

მესამე მსოფლიო კრება. სწორეთ ნახევარმა საუკუნეშ განვლო მე-II შემდეგ და საჭირო შეიქმნა ახალი კრების მოწვევა. ეს იყო მესამე მსოფლიო კრება ნესტორი მწვალებლის წინააღმდეგ, ქალ. ეფესში, იმპერ. ოფოდორე II მცირის დროს, 431 წელს. ნესტორი იყო არქიეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა. მისი აჩენი კონსტანტინოპოლის კათედრაზე მხოლოდ იმპერატორის განკარგულებით მოხდა: ამ საქმეში კონსტანტინოპოლის კრებულს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. გასაოცარი იყო ამ კაცის ხასიათი. კონსტანტინოპოლის კათედრაზე ჯერ ფინიც არ შეედგა, რომ იმპერატორს შემდეგის უცნაური სიტყვებით მიმართა: „იმპერატორი!“ მომეცი ქვეყანა, გაწმენდილი მწვალებელთაგან, და სანაცვლოთ ჩემგან ზეცას მიიღებ; დამეახმარე—მწვალებლები ამოვსწყვიტო და, სამაგიეროთ სპარსელებს ამოვგაწვეტინებო!“ და მართლაც ულმობელი სისასტიკით დაუწყო დევნა მწვალებლებს. მაგრამ არ გაუვლია არც ერთ წელს, რომ ნესტორი თვითონ გაება (429 წ.) ახალი მწვალებლობის მახეში; და, აი, 431 წელს, იგივე იმპერატორი, რომელსაც ის მწვალებლების ამოსაწყვეტილ ეპატიურებოდა, ახლა თვით ნესტორისავე განსაჯელად მართავს მსოფლიო კრებას. ამ კრებამ შეაჩენა ნესტორი და მისი სწავლა, თუმცა იმპერატორის მიერ მიჩნილი კრისკაცი, კანდიდიანე, სულითა და გულით მოწადინებული იყო, რათა კრებას ნესტორის სასარგებლო გარდაწყვეტილება გამოიტანა. კანდიდიანემ ნესტორს ჯარიც კი აახლა, რომ ამით თავის კლიენტისათვის მეტი რისი მიეცა და კრების მამები შეეშინებია; ხოლო როცა გაიგო, კრება უკვე დაუწყიათ და ჩემთვის აღარ მოუცდიათო, პირდაპირ შევიდა საკრებულო ტაძარში და კრება მეფის საწინააღმდეგო კრებად გამოაცხადი. მაგრამ კრების მამები მის მუქარას არ შეეშინდნენ და მოსთხოვეს მეფის ქალალდი, კანდიდიანე ჯერ უარზე დადგა, მაგრამ ბოლოს იძულებულ გახდა, მეფის ბრძანება ამოეღო. აღმოჩნდა, რომ მას ნაბრძანები ჰქონდა კრებაზე მხოლოდ გარევანი წესიერება დაეცვა, კრების საქმეებში კი არ ჩარეცალიყო. ³³⁾ საყურადღებოა ამ კრების მე-8 კანონი, რომელიც ამბობს: „ნუ შემოგვეპარება ეკლესიასა შინა, ღვთის-მსახურების სახით, თავხედოს საერთო მთავრობისა, რათა არა მოგვაკლდეს თავის უფლება, რომელიც მოგვანიჭა იქსო ქრისტემან,

³³⁾ უფრო ვრცლად არქიმ. იოანე—О свободѣ совѣсти (Христ. Чтеніе, за 1865 г. II. стр. 445—447; 449).

განმათავისუფლებელმა ყოველთა ოდამინთამან“³⁴⁾). ასე გეგონებათ, თით
ქოს ეს კანონი პირდაპირ კანდიდანებს წინააღმდეგ იყოს დაწერილი!

მეოთხე მსოფლიო კრება. (451 წელს). — ამ კრების მოწვევის შიზე-
ზი შეიქნა კონსტანტინოპოლელი ოქემიანდრიტი ევტიი და მისი მონა-
ფიზიტური მოძღვრება. 448 წელს კონსტანტინოპოლში გაიმართა ოდგილ
ობრივი კრება, რომელმაც გამოამერავნა და დაარღვია ევტიის მწვალე-
ლობა, ხოლო თვით ევტიის არქიმანდრიტობა ჩამოართვა. უკვეელია, ეს
ამბავი ამით გათავდებოდა, მაგრამ საერთო მთავრობის ჩარევამ აქაც საქმე
გააფუქა: ევტიის თვითონ სასახლეში აღმოუჩნდენ მომხრეები, რის გამოც
თვეოდოსი-იმპერატორი იძულებული შეიქნა ახალი კრება დაენიშნა (449 წ.).
ამ კრებას თავმჯდომარეობდა ოლექსანდრიელი ეპისკოპოსი დიოსკორე,
რომელიც მომხრე იყო ევტიისა. მან გაამართლა ევტიი და უარყო წინა
კრების განაჩენი. მაგრამ, როცა ოდგილობრივმა ძლვდელმთავრებმა დიოს-
კორის მოქმედება უკანონოდ აღიარეს, მაშინ დიოსკორის თხოვნითა და
საერთო მთავრობის განკარგულებით, კრებაში შეცვინდენ ჯარის-კაცები და
ქუჩის ხალხი: ვინ კეტით, ვინ ქვითა და ვინ იარაღით... რაღას იქმნდა
ოპოზიცია?. იძულებული გახდა კრების განაჩენშე ხელი მოეწერა. საეკლე-
სიო ისტორიაში ეს კრება ცნობილია „ავაზაკთა კრებად“. — ამასობაში
თვეოდოსი II გარდაიცვლა (450 წ.) და ბიზანტიის ტახტზე მისი და, პულ-
ხერია, ავიდა (უკვე 52 წლის მანდილოსანი), რომელმაც ქმრად აირჩია
ერთ-ერთი თავისი მხედართმთავართაგანი, მარკიონე. „ამ ამ მარკიანეს ხედა
წილად მე-IV მსოფლიო კრების მოწვევა.

კრება ჯერ ნიკეაში გამართეს (1 სექტ. 451 წ.). მაგრამ რადგანაც
იმპერატორს სურდა კრების მსვლელობაზე დაახლოეցებით მიეღო ხოლმე
ცნობები, კრება ხალკიდონში გადაიტანეს, სატახტო ქალაქის დაახლოებით.
ამ კრებას დაესწრო 600-მდე მლვდელთ-მთავარი. ამათ გარდა კრებაში ხათა-
თბირო ხმით იმპერატორის წარმომადგენლებიც იღებდენ მონაწილეობას.
მათი რიცხვი 17-მდე იღწვედა. მართალია, ეს მოხელეები სცდილობდენ
კრების მსვლელობაზე გავლენა მოეძინათ, მაგრამ, როგორც ნამდეილი
ოქმებიდან სჩანს, კრების მამებს ყოველი მათი ცდა ამაოდ უქცევიათ.
მოგვყავს ერთი ადგილი ამ ოქმებიდან. სახელოვანმა კარისკაცებმა სოქვეს:
„უავგუსტოესს იმპერატორს (მარკიანეს) ნებავს, რათა წმიდა მლვდელ-
მთავართა საქმები გაირჩეოდეს არა იმპერატორის სიგელთა თანახმათ, არა-
მედ წმიდა მამების მიერ გამოცემულ კანონთა მიხედვით. ბრძანის წმინდამან
და მსოფლიო კრებამ, უკეთუ ნებავს, საეკლესიო კანონებით მოხდეს გამო-
ძიება, თუ საეკლესიო კანონების წინააღმდეგ არავითარს საიმპერატორო
წესდებას ძალა არ ექნება; წმ. მამთა კანონებს უნდა მიეცეს უპარატესობა“. დი-



დებულმა კარის-კაცებმა სთქვეს: „ეხლა კი დროა შევიტყოთ წმ. კრებისაგან, აქესთ თუ არა ეპისკოპოსებს უფლება, საიმპერატორო სიგელის ძაღლით, სხვა ეკლესიას უფლება რომ წაროვან?“ წმინდა კრებამ ბრძანა: „არა აქეთ ნება; ეს საეკლესიან კანონებს წინააღმდეგიათ“. ⁵⁵⁾ ასე მტკიცეთ დახვდენ კრების მამანი საერო მთავრობის უალაგო ჩამორვეას საეკლესიო საქმეებში, და თავისი მაგალითით სამუდამოთ დაანახვეს საერო მთავრობას, თუ რა საზღვარს არ უნდა გადაშორდეს უკანასკნელი ეკლესიასთან ურთიერთობაში.

მეცუთე, მეექცხე და მეშვიდე მხოლოდი კრებანი. ხალკიდონის კრება დიდხანს სადაო საგანს შეადგენდა აღმოსავლეთის ეკლესიაში. ამ გარემოებამ საქმიან საბუთი მისცა ეკლესიაში სათარეშოთ იმისთვის იმპერატორებს, როგორიც იყვნენ, მაგალითად: გასაღისევი მისი თავხედური ედიქტით ხალკიდონის კრების წინააღმდეგ; იმპერატორი ზენონი თავისი «ენციკლიკითა» და „ენოტიკონით“ (482 წ.) და სუსტი ხასიათის იმპერატორი ანასტასი I (421—518 წ.), რომლის დროსაც შინააურმა შფოთმა და საეკლესიო პარტიათ განხეთქილებამ (კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიაში) უმაღლეს ხარისხამდე მიაღწია.—ამავე გარემოებამ აიძულა იმპერატორი იუსტინიანე I-იც (527—565 წ.), საეკლესიო საქმეებში ჩარეცულიყო.

როდესაც იუსტინიანე ტახტზე დაიდა, იმ დროს ბიზიანტიაში გაძლიერებული იყო „მონოფიზიტური“ მწვალებლობა. ამ მწვალებლობის მიმდევართ ეჭირათ თითქმის მთელი სამხრეთის ნახევარი ბიზანტიის იმპერიისა: ევგიპტე, სირია და სომხეთი; ასე რომ სამი საპატრიიარქო (ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და, რამოდენათმე, იერუსალიმისაც) მონოფიზიტებით იყო გაჰედილი. რასაკვირველია, იმპერატორს არ შეეძლოა მოღენა ხალხი დევნულების მსხვერპლად გახეადა, რადგან, უეჭველია, ამგვარი სისასტიკე თვით მისსავე სახელმწიფოს დასცემდა და, შესაძლოა, მთელს სამხრეთის ნაწილსაც მოგლეჯდა. ამიტომ იმპერატორმა მათი შემოერთება ამჯობინა, მაგრამ მონოფიზიტები არას გზით არა ნდომობდენ მართლმადიდებლებთან შეერთებას. მიზეზად იგინი ასახელებდენ ეგრეთ წოდებულს „სამ თავს“, ე. ი. თეოდორე მოპსუეთელსა, თეოდორიტე კირელსა და ივა ედესელს; სახელდობრ მონოფიზიტები ამტყუნებდენ მართლმადიდებლებს იმაში, რომ ხალკიდონის კრებამ (451 წ.) ჯეროვანი ყურადღება არ მიიცია ამ სამი მღვდელ მთავარის ნესტორიანულ აზრებს და არამც თუ არ განკვეთა იგინი ეკლესიასაგან, პირიქით ორს უკანასკნელს (თეოდორიტესა და ივას) წინანდელი იეროარქიული ხარისხიც კი შეანარჩუნა და კრებაზედაც დაისწროო. მონოფიზიტების ამგვარმა განცხადებამ იმპერატორი აიძულა, 544 წელს, შემდეგი შინაარსის ედიქტი გამოეცა („აღსარება სარწმუნოებისა“):

⁵⁵⁾ იხ. ქანაქ ასელ. соборовъ. Изд. Каз. Дух. Акад. т. IV, стр. 83—84.
Казань 1865 г.

„ვინც თეოდორე მოპსუეთელს იფარავს, მის თხზულებებსა და მიმდევრებს არ შეაჩენებს, იყავნ ანათემა! ვინც თეოდორიტე კირელის იმ თხზულებებს იცავს, რომელნიც ნესტორის გასამართლებლად არიან დაწერილი, ვინც მათ იწონება და არ შეაჩენებს, იყავნ ანათემა! ვინც იყავებისკოპოსის იმ წერილს იცავს, რომელიც მარიოს სპარსელ მწვალებლია საღმია მიწერილი, ვინც იფარავს მას მთლიან ან ნაწილ ნაწილათ, იყავნ ანათემია!“

ეს ბრძანება იმპერატორმა ყველა ეპისკოპოსებს დაუგზავნა ხელის მოსაწერად. ამ საშუალებით იმპერატორი ფიქრობდა მონოფიზიტები დაეკმაყოფილებია და მართლმაცილებლებსა და მათ შორის შეთანხმება მოეხდინა. მაგრამ ცდამ ამაოთ ჩაუარა: მონოფიზიტებმა ხელიც არ გაანძრიეს; მართლმაცილებლები კი უკმაყოფილობი დარჩენ, რადგან იმპერატორის განკარგულებაში საერთო მთავრობის თვითონებობა და ძალ-მომრეობა დაინახეს. რომის პაპმა ვიგილიუსმა პირდაპირ წამოაყენა საკითხია: აქვს თუ არა იმპერატორს უფლება, დოლმატიური კითხვების შესახებ ბრძანება გამოსცეს და მიცვალებული მღვდელმთავრები შეაჩენებსო? პაპს მხარი მისცეს კართველებმა დიაკონმა ფერრანდმა და გერმიიანელ ეპისკოპოსმა ფაუსტნდმა, რომელთაც ა როგორი პასუხი წარმოსთვევს ზემოთ აღნიშნულ საკითხზე:

„არავის უფლება არა აქვს, სხვას ძალით თავზე მოახვიოს ის, რასაც თვითონ ფაქტობს. რასაკირველია, ყველის შეუძლია თავისი აზრები წერილობით გამოხატოს, მაგრამ იმ მიზნით კი არა, რომ მისი დაწერილი სხვებს ძალით მიაღებინოსო. რამდენს არ მოღვაწეობდეთ წმინდანი და სახელმოვანი მოძღვრები ღვთის სიტყვის საქადაგებლად, მაგრამ არასოდეს არ მოუთხოვიათ მსმენელთაგან—ჩვენს წიგნებს ხელი მოაწერეთო. მოციქული ამბობს: წინასწარმეტვეჯდნი თრია გინა სამნი იტერდედ და სხვანა იგი სცნობდედ (I კორ. 14, 29), და არა—ხელი მოაწერონ ან ხელი მოაწერინონ... უმჯობესია, საერთო მთავრობა თავის კალაპოტში დაეტეოდეს... თუ კი სახელმწიფო საქმეები არავის გადააქვს ეკლესიაში, მაშ როგორდა მოხდა, რომ იმპერატორმა საეკლესიო საქმე სასახლეში გადაიტანო?!, —და სხვა. ³⁶⁾

რომ საქმე უარესათ არ გამწვავებულიყო, იუსტინიანემ 553 წელს მთიწვია მსოფლიო კრება (მე-V). რომელმაც შეჩენა „სამითავი“ და, აგრეთვე, ორიგენისა და ორიგენისტების შეცდომანი.

მაგრამ საეკლესიო განხეთქილება ვერც ამ კრებაშ მოსპო. მონოფიზტთა მწვალებლობა მე-V კრების შემდეგაც დიდხანს არყვედა აღმოსავლეთის იმპერიას, სანამ მე-VI მსოფლიო კრებამ, 680 წელს, საბოლოოდ არ უარჲუმ

³⁶⁾ Терновскіе—Греко восточн. церковь въ периодъ вселенск. соборовъ, стр. 297.

ყოველგვარი კომპრომისები მონიფიზიტებთან. ³⁷⁾ ამას შემდეგ განვილო ას წელზე მეტმა და მსოფლიო ეკლესიას მოუხდა სასტიკი ბრძოლა სრულიად ახალს, ეგრეთ წოდებულს, ხატ-მებრძოლთა მწვალებლობასთან. ეკლესიამ ბრძოლიდანაც გამარჯვებული გამოიიდა: მეშვიდე მსოფლიო კურგაზე (787 წ.) მან საბოლოოთ გაარკვია თავისი შეხედულება ხატების შესახებ, ხოლო 8+2 წელს პირველათ იდლესასწაულა სრული გამარჯვება ყოველგვარს მწვალებლობაზე.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილს კრებაზე იმპერატორის მონაწილეობა გამოიხატებოდა შემდეგში: ა) იმპერატორს ეკუთხნოდა ინიციატივა კრების მოწვევისა; ბ) მასვე ჰქონდა უფლება კრების დაგეტისც; გ) შეეძლო კრებას თვითონაც დასწრებოდა ან თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა წესიერების დასაცველად; დ) დასასრულ, იმპერატორივე მტბაცებდა კრების განაჩენს და მიღებდა ხოლმე ზომებს ამ განაჩენის სისრულეში მოსაყვანად. ³⁸⁾

ასეთი იყო უმაღლესი საერო მთავრობის მონაწილეობა საეკლესიო კანონმდებლობაში.

ს. გორგაძე.

(შემდეგი იქნება.)

რამდენიმე სურათი სოფლის მღვდლის ცხოვრებიდან.

ვინ არ იცის, თუ როგორ გაჭირვებულ მდგომარეობაშია, საზოგადოთ, სოფლის მცბოვრები და „კერძოთ“ იქაური სამღვდელოება.

ამას წინაათ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ერთი მიყრუებული სოფლის მღვდელი და შემდეგი გვიამბო თავისი გაჭირვებულ ცხოვრებიდან.

„სწორეთ გასაოცარია, როდესაც გამოდის ზოგი უვიცი და გაიძახის: მღვდელი მუქთა ხორაა, არაფერი მისცეთ მასო“. ამასთანავე ამბობს, ყოველი მშრომელი ლირისა სასყიდლისაო. მღვდელი—კი, რომელიც სულ-მუდაბ ხალხისათვის გამცირია; მისთვის არც დღეა, არც ღამე, რა დღოსაც დაუძახებენ, ვალდებულია გაპყვეს სამრევლოს კაცს და ზოგჯერ 10-15 ვერსი გირაროს, მათის ჰაზრით არაფერი სასყიდლის ლირის არ იცის. რასაკვირველია. მეტაც სანატრელი იქნებოდა, რომ მღვდელი ყოველნაირ მოთხოვნილებას ხალხს უსასყიდლოთ უსრულებდეს. განა ისოთ ქრისტე ასე არ იქცეოდა?! მაგრამ ნურავინ დაივიწყებს, რომ მღვდელიც კაცია... მას ჰყავს ცოლი, შვილები. ან თითონ რითი ირჩინოს თავი ან კოლშვილი როგორ არჩინოს?

³⁷⁾ Терновские — Loc. cit. стр. 350—379.

³⁸⁾ Павловъ — Курсъ церк. права, стр. 473—474.



„ეხლა მოვიყვან ფაქტებს ჩემი გაჭირვებული ცხოვრებიდან და მუქთა მჭამელიც“ არის სოფლის სამღვდელოების უმეტესი ნაწილი.

„ერთს ზამთრის ღამეს, ასე 12 საათზედ, მოვიდა ჩემთან ერთი ჩემი შრევლთაგანი და მითხრა: „მამაო, უნდა წამომყევ; მამა მყავს მეტად შეწუხებული და მიზიარეო“. მეც, რასაკვირველია, უარი ვერ ვუთხარი (კანონის ძალით არც შემეძლო მეთქვა), ავდეჭი და გავყე. ვაზიარე ავადმყოფი და ცუდა ამინდის გამო უკან ველარ გამოვბრუნდი; იმ ღამეს იქვე დავრჩი. რადგან ქოხში ადგილი აღარ იყო, მთელი ღამე ბოსლის ბანზედ თივაში ჩაწოლილმა გავათხნე. იმ ღამეს გავცივდი; ჩავარდი ლოგინად და, თუ რამე მეონდა ნაშოვნი, ჩემს საექიმის გადავალიე.

„აი კიდევ მაგალითი. მრევლში დასამარხი მყავდა. იმ დღეს ადრე უნდა მივსულიყავ. გზაზედ ზვავმა მომისწრო და, ერთი წუთი აკლდა, კინალამ არ მომიყოლა ქვეშ. ცალი წალა ტლაპოში ჩამრჩა. მთელი ორი საათი ვეწუვალე და საღამომდის ვერ მივაღწიე მიცვალებულის სახლამდის. იქ ხალხი გაბრაზებული დამიხვდა. მომცვივდენ და კინალამ მცემეს: როგორ გაბედე დაგვიანებათ. მიცვალებული როგორც იქნა გავასვენე. ბადლობა იმითი გადამიხადეს, რომ არც იმ დღეს მაჩუქეს რამე და მთელი წლით დრამაც მომისპეს.

„ჩემი მრევლი სულ 120 კომლისაგან შესდგება. ამათში ნახევარი თითქმის სულ ღარიბ-ღარაკი და ქვრივ-ობოლია. ღარიბს რომ ვთხოვე რამე, მეუბნება: „მამაო, შენ თვითონ ქადაგებ, ღარიბები გებრალებოდესო, და შენ თუ არ შემბრალებ, სხვა სულ არ შემიბრალებსო“. მეც, რასაკვირველია, თვითონ ვგრძნობ, რომ ის სრულ ჭეშმარიტებას მეუბნება, და აღარ ვწუხებ. შემდეგ მივდივარ შეძლებულთან. შეძლებული მეუბნება: „მამაო, წელს ცუდი მოსავალი მეონდა, მეც ძლიერ მეყოფა; ვერაფერს მოგცემ და ნუ გეწყინებათო“. ასე ორივე მხრიდგან ყინულზედ გაცურებული რჩება საწყალი მღვდელი. უმჯობესი იქნებოდა, რომ გადაჭრით უარს იტყოდენ სამღვდელოებაზე. უკეთუ არ სურთ მისი არსებობა და არც სწამთ მისი სარგებლობა, მაშინ აღარც ჩვენ გავცდებოდით ხალხისათვის და სხვა შრომას მივყოფთ ხელს, და აღარც ხალხს მოუვა ზედმეტი ხარჯი ჩვენს შესანახადო.“

ასე დაასრულა თავისი ნაღვლიანი მოთხრობა ჩვენმა მოსაუბრემ და გვთხოვა ყოვლივე მისი ნაამბობი „სასულიერო მოამბეში“ დაგვებეჭდა. ჩვენც ვასრულებთ მის თხოვნას, და წინადაღებას ვაძლევთ სხვა სოფლის მამებსაც მოგვაწოდონ მსგავსი მასალა თავის გაჭირვებულ ცხოვრების შესახებ. კიდევ უფრო სინტერესო იქნება, უკეთუ ამგვარს ცნობებს სოფლის მედავითნებიც მოგვაწოდებენ.

ამბები და შენიშვნები.

◆ საქართველოს ეკლესია. საქართველოს ეკლესიის მოწესრიგების საქმე გადაეცა განსახილველად რუსთის საეკლესიო კრებისთვის მასალის მოსამზადებელს სათათბიროს მეორე განყოფილებას. ამ საკითხის შემუშავების დროს კომისიაში მონაწილეობას მიიღებს ქართველი მღვდელთ-მთავრები ლეონიდი და კირიონი. („კოლოკოლ“ № 55)

◆ პრატიკული საგნები სემინარიაში. ტომსის სასულიერო სემინარიაში შემოუღიათ მოწაფეთათვის ბალასნობის, მებოსტნეობის და მეყვავილეობის სწავლება (კოლოკოლ № 21.).

◆ საეპარქიო სასწ. მოწაფე ქალი უმაღლეს სასწავლებელში. ვიატკის საეპარქიო კრებამ წარსულ წლის შემოღოვაზე გადაწყვიტა სამღვდელოების ხარჯით გაგზავნილიყო საეპარქიო საქალებო სასწავლებლის ერთი მოწაფეთაგანი უმაღლეს სამკურნალო კურსებზე, რათა შედეგში ის ემსახუროს მკურნალ-ქალად მშობლიურს სასწავლებელში. (ვლად. საეპ. უწყ.)

ჩვენის სამღვდელოებისთვის ეს მაგალითი მისაბაძია. ის ძლიერ ნაკლებ ზრუნავს თავის ასულთა არა თუ მხოლოდ უმაღლეს, არამედ საშუალო განათლებისათვისაც.

◆ სამშობლო სამართლი. ყაზანის საეპარქიო კრებამ გადაწყვიტა დაარსოს მწყემსთა სამშობლო სასამართლო. ეს პაზრი მღვდელ-მთავარს ძლიერ მოეწონა და გამოთქვა, რომ ასეთი სასამართლოები დიდი სამსახურს გაუწევენ სამღვდელოებას, მით უმეტეს, რომ სამღვდელო პირთა შესახებ მას, მღვდელთ-მთავარს, დიდ ძალი დაბეჭდებითი ქაღალდი მოსდის. (მოგალ. საეპ. უწყ.)

განა ჩვენს სამღვდელოებას აზარალებს ასეთი სასამართლოები! ყაზანის სამღვდელოების ნაკლი (ბეზლაობა) ჩვენს სამღვდელო პირთა შორისაც განვითარებულია.

◆ განდგომა. უწმინდესშა სინოდმა ძალიან გაადვილა საქმე მართლმადიდებლობითი ეკლესიიდამ განდგომის შესახებ. ამის ნებართვის მიცემა ადგილობრივ მწყემსთ-მთავარსაც შეუძლია სინოდის დაუკითხავად. (კოლოკოლ № 51.)

◆ წამქეზებელი მღვდელმთავარი. ეკატერინბურგის ეპისკოპოსმა ვლადიმერმა წარმოქვა სიტყვა 19 დეკიმბერისთვეს 1905 წელსა. ამ სიტყვაში მღვდელთ-მთავარმა პირდაპირ მოუწოდა უფიცის ხალხს ხელი მიეყო ახალ მიმართულების მიმდევართა ამოწყვეტისათვის, ამ სიტყვამ დიდი უქმაყოფილება გამოიწვია ეპარქიის სამღვდელოების და ქალაქის შეცოვებთა შორის. უწმიდეს სინოდს გამოუგზანეს წამქეზებელ ეპისკოპოსზე საჩიგარი. სინოდმა დანიშნა ამ საქმის გამოსაძიებლად ქალ. ვლადიმერის ეპისკოპოსი ნიკონი. (რიგის საეპ. უწყ. № 5 1906 წ.).

ვნახოთ რითი გათავდება წამქეზებელ მღვდელთ-მთავრის საქმე.

◆ მოსაზრება ავტოკეფალის შესახებ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია

უმშ. სინოდმა იმ მოსაზრებით უარჲყო, რომ ეს გარემოება ქართველთა რუსთავან განკულა-
კვებას გამოიწვევს. (Новое Время).

ჩვენის აზრით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ქართველებს რუს-
თავან კი არ განაშორებს, არამედ უფრო დააკავშირებს; მათთან, ეინაიდან
ამით ქართველს მორწმუნეთა შორის მოისპობა უკმაყოფილება და სხვა და
სხვა არა სასურველი მოვლენა, გამოწვეული საქართველოს ეკლესიის აწინ-
დელი მართვა-გამჯეობის მეონებით.

◆ საფრანგეთის ეროვნული ეკლესია. საფრანგეთში დაიწყო მოძრაობა ეროვნუ-
ლი (ნაციონალური) ეკლესიის დასასრებლათ. აქამომდე საფრანგეთის ეკლესია რომის
პაპს ემორჩილებოდა. (Колоколь № 48).

◆ ინგლისელთა ღვაწლი. ინგლისელთა მიერ დაარსებულმა ბიბლიურმა საზოგა-
დოებამ გამოაქვეყნა თავისი მოქმედების 1905 წლის ანგარიში, რომელიც იძლევა შემდეგს
ცნობებს: გამოცემულ იქმნა 5,857,545 ცალი ბიბლიისა (დაბადებისა) და დღიდგან საზო-
გადოების დაარსებისა კი—192,837,746 ცალი იქმნა გამოცემული. სახარება საანგარიშო
წელს დაბეჭდილიქმნა 12-ს ახალს ენაზე. 1883 წლიდამ 1903 წლიდის სსენებულმა საზო-
გადოებაში სპარსეთში გაყითა 61,305 ცალი სალმრთო წერილისა, ხოლო სათა-
თრეთის არაბეთში—49,005 ცალი. (Колоколь № 48).

ინგლისის ბიბლიური საზოგადოება ქართულს ენაზეც ბეჭდავს ბევრს
წიგნს ხალხში გასავრცელებლად.

◆ სამონასტრო გამოცემა. მღვდელმონაზონი ანტონი «ნოვგოროდის საეპარქიო
უწებებში» უჩჩევს მონასტრების და ბერებს იქონიონ საკუთარი ორგანო სამონასტრო ცხო-
ვრების სხვა და სხვა საკითხთა გამოსარკვევად. ის საჭიროდ სთვლის მონასტრის ცხოვრების
განახლებას.

საჩანს, ბერებიც დაუფიქრებია განმათავისუფლებელს მოძრაობას.

◆ წერა-კითხვის ცოდნის მაჩვენებელი. განათლებულ სახელმწიფოთა შორის
რუსეთს უკანასკნელი ადგილი უჭირას. უკანასკნელ აღწერის დროს წერა-კითხვის
მცოდნე აღმოჩნდა რუსეთში მხოლოდ 26,560000, ანუ 21, 1% / მთელის მცხო-
ვრებლებისა (ერთი შეექვედი), უსწავლელთა რიცხვი თთ ს მოცდა ც ს რ ა-
მ ე ტ ი მილიონია, ანუ 78,9% / წერა კითხვის მცოდნეთა რიცხვი ევროპის რუსეთში: 22,
9% /, ვისლას მხრის გუბერნიიგბში—30,5% /; —კავკასიაში—12,4% /, ციმბირში—12,3% / და
შუაგულს აზიაში—5,3% /. ევროპის რუსეთში ყველაზე მაღლა დგას წერა-კითხვის ცოდნა
ესტლიანდიის გუბერნიაში (79,9% /) და შემდეგ კი ლიტვიანდიის გუბერნიაში (77,7% /)
კავკასიაში უკანასკნელი ადგილი უჭირას წერა-კითხვის ცოდნით განჯის (4,8% /) და
ერევნის (6,4% /) გუბერნიებს. ქალთა შორის წერა-კითხვის ცოდნა ნაკლებად არის გარ-
ცელებული. 1897 წ წერა კითხვის მცოდნე მამაკაცი—სულ 18,319 ათასი იყო,—ხოლო
დედაკაცი—8,251 ათასი. 1897 წელს რუსეთში იყო სულ 138,777 სული უმაღლესი გა-
ნათლებისა, კ. ი. 905 სულზე ერთი უმაღლესი განათლების მქონებელი მოდის. რუსეთის
მეზობელს პატარა ნორვეგიაში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 93% ...ია (Корպუს № 9).



აი თუ როგორს სიბნელეში სცროვრობს რუსეთის ერი ბიუროკრატი მეოხებით. ნერავ როდის უნდა ეღირსოს ამ ერს—გათანასწორება თუნდ ნორვეგიასთან.

◆ ნახშირი. მეცნიერთა სიტყვით ნახშირი საუკეთესო საშუალებაა საწამლავის წინააღმდეგ. იაპონელები მოჭამელის წინააღმდეგ ხმარობენ ნახშირს. კარგა ხანია საფრანგეთშიაც ხმარობენ ამ მზენიერს საშუალებას. ქალ. ტულუზაში ამას წინათ 15 კაცი მოიწამლა სოკოთი. მოიწვიეს ერთი ექიმი, რომელმაც მოწამლულთ დალევინა წყლით დანაყილი ნახშირი,—და მოწამლული განიკურნენ. დიდი მნაშენელობა აქვს ნახშირს მათ-თვისაც,—რომელთა კუჭი საჭმელს ცუდად ხარშავს (დისპეჩენია—неевареніє желеудка). ასე-თი მისი მოქმედება მით აისწება,—რომ მას აქვს ისეთი შემაღებელი ნაწილები, რომელ-ნიც სპაბენ შრამს და ამით ჰეგანან ჰაერის საუკეთესო ნაწილს მუზ-ბარს, რომელსაც ასეთივე თვისება აქვს. (კორმაი № 9)

თუ კი ეს ასეა, ამაზე ადვილი რაღაა. რამდენი იღუპება სოფლად და ქალაქებშიაც სოკოს და სხვა მომწამელელ საგნების მეოხებით?! სოფლის სამღვდელოებას შეუძლია ამ საშუალებით დიდი სარგებლობა მისცეს თავის სამწყსოს,

◆ დათხოვნილი ღენერლები. უკანასნელს დროს სამსახურიდამ დათხოვნილი ქმნენ 300 სამხედრო ღენერალი. (კოლოკალ № 47).

◆ გადასახლება. კანონმდებლობის მინისტრის განკარგულებით პოლიტიკური დამ-ნაშევები ამას იქით ციხეებში აღარ იქნებიან დაპატირებულნი; მათ ამის ნაცვლად რუ-სეთის ჩრდილოეთის გუბერნიებში გაგზავნიან. (კოლოკალ № 47)

ახლა კი მივხვდით რად გაგზავნეს ხსენებულს ადგილებში ჩვენი ქვეყ-ნიდამ სხვა და სხვა ჯურის დამნაშავეები და მათ შორის რაცდენიმე მღვდელიც.

◆ დედა იღუმენია იუვენალია. გაზეთი „კოლოკალ“-ი სწერს: ამიერ კავკასიის ბოლბის მონასტრის წინამძღვარი დედა იღუმენია იუვენალია, თხოვნის თანახმად, გადა ჰყავს უწმიდეს სინოდს ნოვგოროდის ზეანის მონასტრებში იღუმენიად და დერჯვინის სა-ხელის საეპარქიო სახწავლებლის უფროს ქალად. დედა იუვენალია საქართველოში და-ბადებულია, თავად განანის ასულია(?) მან გაამშვენიერა მონასტერი (წმ. ნინოსი), გა-აფართოვა სკოლის შენობა და გადააკეთა სკოლა საისტატო სასწავლებლად. ამიერ-კავკასიის ყველა ერები დიდად აფასებდნენ და უყვარდათ სამონასტრო სკოლა და ხალისით აძლევდენ სკოლაში თავის ქალებს, რომელნიც აქ იღებდენ მშვენიერს სწავლას და აღზრდას სამწუ-ხაროა, რომ ამიერ კავკასიის საუკეთესო მოღვაწეები საეკლესიო და განმანათლებლობითს საბილეოზე იძულებულნი ხდებიან თვისი ადგილები დატოვონ და იმათ სამაგიერონი აწინდელს გარემოებათა შორის კი აღარსად არიან. (№ 49)

ცხადია გაზეთის ამ სიტყვებში გამოხატული ჰაზრი მათვის, ვინც ზედ მოწევნით იცის ის რთული მიზეზები, რომელნიც იძულებულ ჰყოფენ ზო-გიერთს მოღვაწეებს ამიერ-კავკასიაში დასტოვონ ეს ქვეყანა და წავიდნენ

მისგან შორს... ხალხმა ამიერ კაცებისაში (და საქართველოში) გაიღვიძა და ის დღეს ადგილად გაარჩევს აესა და კარგსა... ზოგიერთი მოღვაწე არ და-გიდევს ხალხის მოთხოვნილებას და პოლიტიკანობითა გატაცებული, უარ-ჰყოფს მის უბრალო სურვილებსაც კი და მით ამყარებს „დანახეთქ“ — უფ-სკრულს თვის და ხალხის შორის და იძულებული ხდება ჩვენი ქვეყანა მია-ტოვოს. ამისი ბრალი, ვგონებთ, ხალხს არ შეიძლება დაეკისროს... ის მო-ლვაწენი კი, რომელიც სამართლიანობის გრძნობით არიან გამსჭვალული ჩვენის ხალხის მიმართ, ქართველი იქნება ის თუ არა ქართველი, — თანაგრძ-ნობის ღირსნი არიან და იძულებულნიც არ ხდებიან მას განშორდნენ. კერ-ძოდ დედა იღუმენია იუვენალის შესახებ ჩვენ ვერას ვიტყვით, რადგან ხელთ ქვეშ მასალა არ მოგვეპოვება იმის მოღვაწეობის დასაფასებლად.

◆ აღსარებითი სია. სატახტო ქალაქის სამღვდელოება შეეკითხა პეტერბურღის საეპარქიო მთავრობას, სავალდებულოა თუ არა 1905 წლ., 17 აპრილის შემდეგ (საჩრდინოების თავისუფლება იქნა გამოცხადებული) კიდევ აღსარების სიების წერაო. (სმოლენსკ. საეპ. უწყ.)

◆ სამწყემსო კრებანი. თითქმის ყველა ეპარქიებში მოეწყო სამწყემსო კრებათა საქმე. ამ კრებაზე მსჯელობენ შემდეგი საკითხების შესახებ: ა) სამრევლო ცხოვრების გამო-ცოცხლება; ბ) რა აზრის არიან სამღვდელოების შესახებ საზოგადოება და სასულიერო წო-დება; გ) რა მიზანითაა გამოწვეული სამღვდელოების შესახებ ცუდი პაზრები; დ) რა ზო-მები უნდა მიიღოს სამღვდელოებამ, — რომ ასეთი ცუდი პაზრები აღარ ვრცელდებოდეს სა-ზოგადოებაში იმის შესახებ. (კოლოკოლ № 31)

ჩვენს სამღვდელოებასაც ესპიროვება ამ საკითხთა შესახებ მსჯელობა. განა ქართველი სამღვდელოების შესახებ საზოგადოებაში არ ლაპარაკობენ ათას რასმეს?! სამწყემსო კრებათა მოწვევა ჩვენის ეკლესიისთვის აუცილე-ბელს საჭიროებას წარმოადგინს.

◆ ლია წერილი დაკანოზის სერგი გორილებევის მიმართ. ახლად გამოსულს რესულს გაზეთს „ვესტნიკ ვოზროვდენი“-ის პირველს ნომერში დასტამბუ-ლიი რკინის გზის მღვდლის მამა იონა ბრინძისიევის ლია წერილი დეკან-ზის სერგი გორილებევის მიმართ. მოგვყავს ეს წერილი უცვლელად: „ჩვენს ნაწე-რებს, მამათ დეკანზო, საკამა ადგილს აქვს დათმობილი „პატრიოტული საზოგა-დოების მატიანეში“. ეს გარემოება და ამას გარდა თვით თქვენი ნაწერების კილოც ამტკი-ცებას, რომ სხენებული გამოცემის რეზაქციაში არა თუ „თავისი კაცი“ ხართ, არამედ ხელ-მძღვანელიც ამ ორგანოსი. მე დარწმუნებული ვარ, რომ შეგნებული გაქვსთ ბეჭდვითი სიტყვის დიდი მნიშვნელობა, და ამის გამო მე ვერ მიმუდარებარ თუ თქვენ — ასეთმა სახელ-გათქმულმა ექლესიის მსახურმა კავკასიაში — ნება რად მიცით თქვენს თავს გადმოგებებდათ თქვენს ორგანოშ გაზეთ „კოლეჯოლიდან“ წერილი: „ხმა სოხუმიდამ!“ ეს წერილი ნა-წარმოებია გესლიანის, პოლიტიკურ შორს-მჭვრეტელობას მოკლებულის ადამიანისა; იმდენად აღსავაზა ის კაცთა მძულვარების გრძნობით და სიცრუფით, რომ გამოიწვევს მხოლოდ ზიზღა

კრეველ პატიოსანის რტის და ჭეშმარიტი მამულის შეიღლის (პატრიოტის) გულში, რომელსაც (მამულის შეიღლის) ნამდგომად უყვარს თვისი სამზადლო, და არ კუყონიბს ეროვნულ დროშის ფერით და ცხრველ პაზრის მოკლებული გაბერილი ფრაზებით და აგრეთვე სხვა და სხვა დამტაყული ძეველ-ძველით, რასაც სთვლიან რუსულ სახალხო ბოძად.—მართლა მე და ოქვენ, მამაო დეკანოზო, ვერ შევთანხმდებით ცნებებში იმის შესახებ, თუ ვინაა ჭეშმარიტი რტის და მამულის შეიღლი—“პატრიოტი”. თქვენის პაზრით მამულის შეიღლი ისაა,—ვინც „აკეთებს რტუსულს საქმეს“, ვისაც შეაქვს „რტუსული სული“... და ყოველივე ეს როგორ ჩდება, უკვე ვიცით. მოვიყვანთ მაგალითს: რაიცა შეეხება ქართულს (და ყოველი არარუსის) სკოლას,—ეს (რუსული საქმე და სული) ნიშავდა რაც შეიძლება, ქართულის ენის გამოძევებას სკოლიდამ (მე თვით ვიყავი გმგმ საეკლესიო სკოლისა და ვიცი, რა ადგილიც ეჭირა ამ ენას ამ სკოლაში). რაიცა შეეხება ეკლესიას, „რტუსული სული“ გამოიჩატებოდა იმაში, რომ რტს მღვდლებს, რომელთაც მცირეოდნი წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ქართულის ენის შესახებ, ნიშავდენ მხოლოდ მის გამო, რომ რუსები იყინენ,—ქართულ სამრევლოებში (მე თვით დამინშენს 1902 წ. ასეთს სამრევლოში); ამასთანავე არავითარს ყურადღებას არ აქცივდნენ სამრევლოთა თხოვნებს იმის შესახებ, რომ მათვის გაეგზავნათ მღვდლენი, რომელთაც შეძლებოდათ ქრისტეს საქმის შესრულება მათს მშობლიურს ენაშე. რასაკვირველია, შესაფერი ნაყოფიც იქმნა მიღებული: ხალხი, რომელიც ფიცს იძლეოდა არ ედალარნა სიწმინდით მშობელი მართლმადიდებელ სარწმუნოებისათვის, მრავალ საუკუნის განმავლობაში სისხლს ღვირიდა ამ სარწმუნოებისათვის, მოგვცა საუკუნეთა სივრცეში მრავალი გმირი, ძლიერი ქრისტიანობრივი სულით,—ეს თვის მცირე რაოდნობაში დიდებული ხალხი, ღრმა სიყვარულის და პატივის ცემის ღირსი, ჩვენი მონათესავე სარწმუნოებით და ნდობით (რადგან ის თავის ნებით მოვიდა ჩვენთან, ჩვენს ოჯახში შემოვიდა), თან და თან გაურბოდა სარწმუნოებას, გულს იცრუვებდა ეკლესიაზე, სულიერად ველურდებოდა, ისე რომ ბავშვებს სკოლებში ხალისით არ აძლევდა. ამას დიდად შეუწყეს ხელი „ჭეშმარიტ რუსება... ამ გვარ „პატრიოტების“ და „ჭეშმარიტ რუსების“ შესახებ მსჯელობს წერილი: „ხმა სოხუმიდამ“. ამ პაზრის მხრით სახართველოს ექსარხოსად ნამყოფი ალექსიც—პატრიოტია და სემინარიის ნარევტორალი ნიკანდრიც—იმაზე არა ნაკლებია. მაგრამ, მამაო დეკანოზო, რაღაც შინაგან შეკავშირების შედგავლენით სხენებულ სახელებთან ერთად აღდგა ჩემს თვალთა წინაშე რუსეთში მონგომლთა ბატონობის ხანა. რუსეთი მონგოლებს ეპყრათ... მაგრამ, დახეთ, ისინი არ სცდილობდნენ შეეტანათ „მონგოლური სული“ რუსულს ცხოვრებაში, რუსულს ეკლესიასა და რუსულს სკოლაში—არა, ამ მშრით რუსეთში ცველაფერი ძეველის გზით მიღიოდა—მონგოლი არ შეენენ რუსეთის ერის წმიდა-წმიდათას. ნუთუ თქვენ, მამონი და ბატონი მქადაგებელებო იმისა, რომ „კავკასიას რუსული სუნი უდიოდე“, გაურთ, რომ რუსები გამოიწყეთ უფრო მცირედ კულტუროსნები (განათლებულნი), ვინემ მონგოლები?

ის კი არა, რომელი სულის შესახებ ინხებეთ სახარებს თქვენს სტატიებში, მამაო დეკანოზო? ლუკას სახარებაში, რომელსაც ხშირად უკითხავთ მრევლს, სწერია: როდესაც მოციქულებმა უთხრეს იქსო ქრისტეს, რომ იმოქმედებდენ ძეველებური სულის (ხასიათის)

თანახმად, უფალმან სევდით რქვა მათ: თქვენ არ იცით, რომელი სულისანი ზართ“ ო. ვიმეორებ: რომელი სულის შესახებ ჰქადაგებთ თქვენ—გამოთქვით გულაზღიულად.. არის სული ვიწრო ეროვნული,—სული სიძულვალისა და არის სული ქრისტიანობრივის მოწყალებისა და სამართლიანობისა ამ სიტყვათა საუკთხესო პაზრით. რომელი უფრო შეესაბამება თქვენს მიმართულებას?! რომელი უნდა იყვეს თქვენის პაზრით „რუსული სული“. ჩემის პაზრით ის, რომელსაც აქვს მეტი სიყვარული, მოწყალება, ნაზი პატივისცემა მეორე ზალბის წმიდათა—წმიდის მიმართ, აი ის, ვინც განაპირა ქვეყნებში მოდგრეობს და არ სთხავს ეროვნულ განსხვავების თესლს,—ვისთვისაც ქართველიც, სამეჩიც, თათარიც ძმა-ადამინია,—და მოქალაქე, ჩემთან ერთად თანაწორ უფლებით მოსილი ყოვლის მზრით, პირ-მშობის უფლებათა გარეშე, აი ასეთი კაცი იქნება „,მამულიშვილი“—, „პატრიოტი“,—და ის, თუ საზოგადოებრივი მოღვაწეა, იძულებულს ჰყოფს თითოეულს „,არარტის“ თვისის კაცთ-მოყვარულის მოქმედებით სიყვარულით წარმოთქმიდეს „,რუსის“ სახელს, რომელიც წაბილწულია ბოლო ღრმა „,ქეშმარიტ რუსების“ მეოხებით.

აი ასეთს მოღვაწეობას შეიძლება ვუწიდოთ ქეშმარიტ—რუსული საქმე, რადგანაც ის შეაკვეშირებს მტკიცედ ნდობის და პატივსცემის კავშირით განაპირა ქვეყნებს რუსეთის შუაზულთან (ცენტრათან). ახლა ვნახოთ, თუ რანაირი არიან „,ქეშმარიტი რუსები“ იმ სტარიისა: „,ჩმა სოხუმიდამ“, რომელიც, არვიცით, რისიცის გადაბეჭდეთ თქვენს ორგანოზი“. დარაჯიო—ჰყვირის აეტორი ამ სტარიისა—სოხუმის ეპისკოპოსად დაინიშნულ იქმნა ქართველთა—მოყვარული კირიონი!—„,რა უნდოდა და რა უნდა—განაგრძობს კვირილს—რუსეთის უმაღლეს მთავრობას, როდესაც ნიშნავს აქ ეპისკოპოსად კაცს,—რომელიც ბრძულად იცავს მხოლოდ წმინდა—ქართულს ინტერესებს და არც შეუძლია გამოიჩინოს ზომიერება, სამართლიანობა, ჰკუნის სიღარბაისლე.. ან თუ სურთ შეურაცხყოს რუსული გრგნობა? (მიგვითითეთ,—ეს როგორ? რომ საქართველოში ქართველი დაინიშნა ეპისკოპოსად?) ან სურთ შეაპყლიტონ აფხაზები ქართველებს, რომელნიც მათ სძულოთ?—კვლავ დაღადებს იგი და განაგრძობს, „,და აი ახლა კი დაიწყება აქ (სოხუმის ეპარქიაში) დამყარება ყველა საძრევლოებში ქართველებისა“. ამის მეტს ად რას ამოვწერთ თქვენს ორგანოზი მოთავსებული წერილიდამ. იმისმა ავტორმა ისიც კი სთქა,—რომ ეპ. კირიონის ქართველთა მიმართ მოყვარულობა იმითიც მტკიცდებაო, რომ ის საიდუმლო ზიარებისათვის (ორიოლში) თვითონაც ხმარობდა კახურს ღვინოს და სხვებსაც ურჩევდა იმის ხმარებასო. რუსებო, ღმერთმა დაგიტაროთ, არასოდეს არ მიირთვათ კახური ღვინო, თორემ უეცრად ქართველთა მოყვარე შეიქმნებით.

რაიც შეეხება მას, რომ ვითომეც ეპ. კირიონი, ქართველთ მოყვარე, უცდება თავის ეპარქიაში ქართველთა დამყარებას, ნუ თუ საოცარი არაა, პირველად, იმის შესახებ მსჯელობა, რაც დღეს არაა და რაც შემდეგში იქნება და, მეორედ,—„იცის კატამ, ვისი ხორცი შესკამა“—ო.

ნუ თუ თვალწინ არ გვაქვს ცოცხალი მაგალითები საქეშარხოსახში საუკთხესო ადგილებზე დაახლოებულ კაცუნიების, დანიშნისა, რასაც სჩადიოდნენ ექსარხოსი ალექსი და რექტორი ნიკანდრი, ასე რომ სტარიის აეტორზე შეიძლება სავსებით გადღიტანოთ მაცხოვრის სიტყვები: „ორგული აღმოიღე პირველ დვირე თვალისაგან შენისა და მაშინ იხილავ,

ვითარ აღმოიღო წველი თვალისაგან ძმისა შენისა!“. და რა უფრო მეტია დგინდე, თუ წველი?

ხოლო თქვენ, მამაო დეკანოზო, ძმურს მოძღვრულს რჩევას გაძლევთ: ნულარ დაბეჭ-დავთ თქვენს ორგანოებში ისეთს სტატიებს, რომელნიც აშკარად აგნებენ რუსულს საქმეს და ეწინააღმდეგებიან ძმათა მოყვარე რუსეთის ერის ფაქიზად მგრძნობიარე სინიდისა“.

ამ წერილის აზრები ღალადებს ნამდვილს ქრისტიანობრივს კეშმარიტებას, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრს მოძლვარს აქვს დავიწყებული. მაგრამ მოსალოდნელია, რომ მამა იონა ბრინჯიშვის, ესდენ აღსავსეს ქრისტიანობრივის სიყვარულით და დაჯილდოებულს სახარების სწავლის ღრმა შეგნებით, დასჭირდება იმის შესრულება, რაც ერთს ქართულს ანდაზაშია ნათქვამი: „სიმართლე სთქვი, ხოლო ცხენი კი მზად შეკაზმული გჰყავდესო“.

ОБЪЯВЛЕНИЕ

О ДУХОВНОМЪ ВѢСНИКѢ.

Въ силу постановления Грузино-Имеретинской Синодальной Конторы подписка на „Духовный Вѣстникъ“ необязательна для церквей Экзархата.

Священно-церковнослужители, желающие и впредь получать Вѣстникъ, благоволятъ выслать подписанную плату на имя редакціи въ возможной скорости (до 15 мая). Въ противномъ случаѣ,—не внесиши хоть части таковой платы до означеннаго срока,—высылка журнала будетъ прекращена.

Разсрочка: до 15 мая 3 руб., а въ сент. 2 руб.

გ ე ც ე ა ღ ე ბ ა.

ხელის მიწერა, „სასულიერო მომბეჭე“-ზე სავალდებულო აღარაა. ვასაც სურს ეგზაგნებოდეს ეს გამოცემა, რედაქტორი სთხოვს ლარჯაროს ხელისმოსაწერ ფასის გამოგზავნა 15 მაისამდის. წინააღმდეგ შემთხვევაში მას, ვინც ამ ვადამდის ხელისმოსაწერ ფულის ნაწილს მაინც არ გამოგზავნის, უურნალის გაგზავნა მოესპობა.

ამ უამად შეიძლება ვ მანეთის გამოგზავნა,—დანარჩენი ორი მანეთის გამოგზავნა კი—ენცნისთვეში იქნება სავალდებულო.

Содержание № 7. Часть официальная: Распоряжение Грузинского Епархиального Начальства. Часть неофициальная: Размышление по поводу праздника „Воскресение Христово“, Александры Колесниковой. Стихотворение И. Императоръ Феодосій и Амвросій Медіоланскій и П. Къ „Сытымъ“ Свящ. Іоанн Брихничева. Свѣчка Святому Давиду (Разсказъ) Изъ дѣтскихъ воспоминаний С. Свящ. Константина Образцова. Краткий очеркъ церковно-исторической жизни православной Грузіи отъ появленія въ ней христіанства и до нашихъ дней, Свящ. Н. Покровской. Историческая справка по вопросу объ автокефальности грузинской церкви (Отвѣтъ г. В. Самуилову). Свящ. К. Цинцадзе. Объявление. ძალით განცილება. სინიდისისა და ეკლესიის თავისუფლება ბიზანტიის იმპერიაზე. ს. გორგაძისა.—რამდენიმე სურათი სოფლის მღვდლის ცხოვრებიდან ტ. 8—ძისა. ამბები და შენიშვნები, განცადება.

Редакторъ, свящ. Н. Покровский.

Редактирующій грузинскій отдѣлъ, Ил. Перадзе.